ამერიკის შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტი

ბავშვთა შრომის მძიმე ფორმების თაობაზე 2022 წელს

მოპოვებული მონაცემები

საქართველო

2022 წელს საქართველომ განახორციელა საშუალო ხარისხის წინსვლა ბავშვთა შრომის მძიმე ფორმების აღმოფხვრის სფეროში. შრომის ინსპექციამ ჩამოაყალიბა ექსპერტი ინსპექტორების ჯგუფი იძულებითი შრომის და შრომითი ექსპლუატაცი-ისათვის გამიზნული ტრეფიკინგის შემთხვევების გამოსავლენად. ასევე, ინსპექციამ გახსნა ოფისები ბათუმში და ქუთაისში, დასავლეთ საქართველოში ოპერატიული გავლენის გასაძლიერებლად. პროკურორის ოფისმა მიიღო ახალი სტრატეგიული გეგმა 2022–2027 წლებისათვის, ბავშვების ტრეფიკინგის და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების გამოვლენის ძალისხმევის გაძლიერების მიზნით, და ეფექტიანი სასჯელის დაწესებისთვის, სადაც ყურადღების ცენტრში მსხვერპლის ინტერესები იქნება. ამასთან ერთად, მთავრობამ დაამტკიცა ახალი ეროვნული სტრატეგია "საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის თაობაზე 2022 – 2030 წწ", რომელშიც ყურადღება გამახვილებულია მოსახლეობის განსაკუთრებულ დაუცველ ჯგუფებზე, ბავშვების ჩათვლით. მიუხედავად ამისა, საქართველოში ბავშვები ექვემდებარებიან ბავშვთა შრომის უმძიმეს ფორმებში ჩართულობას, იძულებითი მათხოვრობის ჩათვლით. ბავშვები ასევე ჩართული არიან სასოფლო-სამეურნეო შრომაში. საქართველოში არსებული შრომისათვის შესაფერისი მინიმალური ასაკის ნორმები არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, რადგან ისინი არ ეხება ბავშვების არაფორმალურ შრომას. სისხლის სამართლის კოდექსი კატეგორიულად არ კრძალავს ბავშვების გამოყენებას არაკანონიერ ქმედებაში. უფრო მეტიც, ადამიანების ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმული ორგანიზაციებს შორის ეფექტიანი კოორდინაციის ნაკლებობის გამო მსხვერპლი-ბავშვების მიმართ განხორციელებული ძალისხმევა არ არის ადექვატური.

მთავრობისთვის შეთავაზებული რეკომენდაციები ბავშვების შრომის აღმოსაფხვრელად		
სფერო	**რეკომენდირებული ღონისძიებები**	**რეკომენდირებული ვადები**
კანონები	უზრუნველყოფილი იყოს, რომ შრომის მინიმალური ასაკი ეხებოდეს ყველა ბავშვს, არაფორმალურ შრომაში ჩართული ბავშვების ჩათვლით.	2017 – 2022
	სავალდებულო განათლების ასაკის ზღვარი გაიზარდოს 15-დან 16 წლამდე, - შრომის დაწყების მინიმალურ ასაკამდე.	2009 – 2022
	უზრუნველყოფილი იყოს, რომ შრომის კანონმდებლობაში განსაკუთრებით ნათლად გაიწეროს მსუბუქი შრომა, დასაშვები საქმიანობის სიების ჩათვლით, რაც ნებადართული იქნება 15 – 16	2016 – 2022

მთავრობისთვის შეთავაზებული რეკომენდაციები ბავშვების შრომის აღმოსაფხვრელად		
სფერო	**რეკომენდირებული ღონისძიებები**	**რეკომენდირებული ვადები**
	წლის ბავშვებისათვის, რათა ბავშვები დაცული იყვნენ მძიმე შრომაში ჩართვისაგან.	
	უზრუნველყოფილი იყოს, რომ კანონში კრიმინალურად აიკრძალოს ბავშვების გამოყენება, მათთვის ნარკოტიკების წარმოებაში და გადატანაში მონაწილეობის დავალება ან შეთავაზება.	2019 – 2022
	უზრუნველყოფილი იყოს, რომ კანონში კრიმინალურად აიკრძალოს 18 წლამდე ასაკის ბავშვების არასამთავრობო შეიარაღებულ ჯგუფებში გაწვევა.	2016 – 2022
დანერგვა	დაწესდეს ჯარიმები ბავშვების შრომის მძიმე ფორმებში ჩართვაზე განსაზღვრულ სასჯელებზე.	2022
	გაგრძელდეს კომუნიკაციების გაძლიერება შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური საგამოძიებო ჯგუფებს შორის მთელს ქვეყანაში, აჭარის რეგიონის საგამოძიებო ჯგუფების ჩათვლით, რათა ადამიანების ტრეფიკინგის საქმეების გამოძიება კოორდინირებულად წარიმართოს.	2022
კოორდინი-რება	დაინერგოს კოორდინირების მექანიზმები ბავშვების შრომის უმძიმესი ფორმების თავიდან აცილების და აღმოფხვრის მიზნით.	2022
	გაძლიერდეს კოორდინაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურორის ოფისის, სახელმწიფო უზრუნველყოფის სამმართველოს და სხვა სამთავრობო დაწესებულებებს შორის.	2018 – 2022
მთავრობის პოლიტიკა	ისეთი პოლიტიკური გადაწყვეტილება იყოს მიღებული, რომელიც მიმართული იქნება ბავშვების შრომის ყველა შესაბამისი ფორმის აღმოფხვრისაკენ, ბავშვების სოფლის მეურნეობაში შრომის ჩათვლით.	2017 – 2022
სოციალური პროგრამები	მონაცემების შეგროვება და გამოქვეყნება ბავშვების შრომის მასშტაბების და თავისებურებების თაობაზე, - სოფლის მეურნეობაში ბავშვების შრომის გამოყენების ჩათვლით, - პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირებისთვის და პროგრამებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.	2018 – 2022
	დამატებითი ძალისხმევის გაღება, რათა სკოლებში რეგისტრირებული იყვნენ ყველა ბავშვები, ბოშათა დასახლებების ბავშვების ჩათვლით, გაიცეს მათზე პირადობის მოწმობები, და უზრუნველყოფილი იყოს მათთვის განათლებასთან წვდომა.	2018 – 2022

მთავრობისთვის შეთავაზებული რეკომენდაციები ბავშვების შრომის აღმოსაფხვრელად		
სფერო	**რეკომენდირებული ღონისძიებები**	**რეკომენდირებული ვადები**
	უზრუნველყოფილი იყოს, რომ იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ქართულ და რუსულ ენებზე ვერ საუბრობენ, ასევე, სოციალურად დაუცველი, ღარიბი ოჯახების, უნარშეზღუდული ბავშვებისთვის, და პერიფერიებში მცხოვრები ბავშვებისთვის გაუმჯობესდეს განათლებასთან წვდომა.	2019 – 2022
	გაფართოვდეს არსებული პროგრამები, რათა ეს პროგრამები მუშაობდნენ ბავშვების შრომის პრობლემებზე, განსაკუთრებით ქუჩის ბავშვების პრობლემებზე. ასევე გაიზარდოს ადგილობრივ დონეზე არსებული რესურსები.	2018 – 2022